



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 262

2 ივლისი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე საკითხის შეთანხმების და ელექტრონული პირობებიანი აუქციონების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26¹ მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის“ პირველი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის №21.866.983 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:


1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის №21.866.983 განკარგულების დანართებით №1 და №2

წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის პირობები“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის პირობები“.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული პირობების შესაბამისად ელექტრონული აუქციონების გამოცხადების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში,
მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე
რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი
აუქციონის პირობები

1. აუქციონის საგანი

- 1.1. აუქციონის საგანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - „მთავრობა“/„ნებართვის გამცემი“) მიერ აუქციონში გამარჯვებულ პირისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე შესაბამის უძრავ ქონებაზე (შემდგომში - „ლოტით გათვალისწინებული ტერიტორია“) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის (შემდგომში - „ნებართვა“) ექსკლუზიურად გადაცემა (გარდა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული გამოწვევებისა), საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე პირობების შესაბამისად.
- 1.2. აუქციონის პირობები და მასში გამარჯვებული პირის (შემდგომში - „გამარჯვებული პირი“/„ნებართვის მფლობელი“) გამოვლენის წესი დადგენილია კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით (შემდგომში - „პირობები“).
- 1.3. ნებართვის გამცემსა (წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ) და გამარჯვებულ პირს შორის ამ პირობებისა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (შემდგომში - „ოქმი“) საფუძველზე დაიდება ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“), რომელიც აზუსტებს და განავრცობს კანონმდებლობითა და ამ პირობებით განსაზღვრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, დეტალურად განსაზღვრავს სანებართვო პირობებს, გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობის შემთხვევებსა და წესს, ხელშეკრულების შეწყვეტის/ნებართვის გაუქმების საფუძველსა და წესს და სხვა პირობებს.

2. აუქციონის ძირითადი პირობები

- 2.1. აუქციონით გათვალისწინებული ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება ნებართვის გაცემიდან 15 (თხუთმეტი) წლით (შემდგომში - „ნებართვის მოქმედების ვადა“).

- 2.2. აუქციონი ითვალისწინებს გამარჯვებული პირისათვის ნებართვის გადაცემას ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, ამ პირობების დანართი N1-ში მოცემულ ადგილებზე, ამავე დანართით განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით (შემდგომში - „**არსებული ობიექტები**“). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პირობების დანართი N1-ში მითითებული გარე რეკლამის ტიპები არის საინფორმაციო ხასიათის და გამარჯვებული პირი უფლებამოსილია, დანართ N1-ში მოცემულ ადგილებზე, საკუთარი შეხედულებებისამებრ, განათავსოს სხვა სახეობის გარე რეკლამა, დანართ N1-ში მითითებული პარამეტრების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
- 2.2.1. ამ პირობების დანართი N2-ში მოცემულია ელექტრონულ რუკების ბმულები, რომელზეც დატანილია არსებული ობიექტების, ასევე, ამ პირობების დანართი N3-ში მოცემული ობიექტების ადგილმდებარეობის მანიშნებლები, მათი ვიზუალიზაციის მიზნებისთვის. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული რუკები წარმოდგენილია ობიექტების მოძიების გასამარტივებლად და იგი არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე ინფორმაციას. აღნიშნულ რუკებსა და ამ პირობების დანართი N1-სა და N3-ში მითითებულ ინფორმაციას შორის რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დანართი N1-სა და N3-ს.
- 2.3. გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებული ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები (შემდგომში - „**მცირე საშუალებები**“), ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) არაუმეტეს 360 (სამას სამოცი) ერთეულისა.
- 2.3.1. გარე რეკლამის მცირე საშუალებად მიიჩნევა ღია სივრცეებში (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტული კომერციული ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.), აგრეთვე, კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარედ განთავსებული, არასტანდარტული, ერთჯერადი სარეკლამო კონსტრუქციები. მცირე საშუალებები განკუთვნილი არ არის მისი მრავალჯერადი გამოყენებისათვის (მაგალითად, შემდგომში სხვა ბიზნეს-სუბიექტის მიერ).
- 2.4. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებული

ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების ამ პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე (შემდგომში - „ახალი ობიექტები“), ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული სხვა აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე. დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას გამარჯვებული პირის დაკვეთითა და ხარჯებით.

2.4.1. ნებართვის გამცემი/სააგენტო არცერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს გამარჯვებული პირის მიმართვა ახალი ობიექტის განთავსების თაობაზე და იგი უფლებამოსილია, საკითხი გადაწყვიტოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ.

2.5. ნებართვის გამცემი აუქციონში გამარჯვებული პირს არ გადასცემს (არცერთი სამართლებრივი ფორმით) რაიმე სარეკლამო ინფრასტრუქტურას (მათ შორის, არსებულ ობიექტებზე დღესდღეობით ფაქტობრივად განთავსებულ სარეკლამო კონსტრუქციებს ან/და მცირე საშუალებების ინფრასტრუქტურას). არსებული ინფრასტრუქტურა ეკუთვნის მოქმედი ნებართვის მფლობელ(ებ)ს ან/და სხვა, შესაბამის მესამე პირებს.

2.6. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, დაიცვას სარეკლამო ინფრასტრუქტურისა და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) მოპოვების, განახლების/ვადის გაგრძელებისა და მათი ექსპლუატაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და სტანდარტები (საჭიროების შემთხვევაში), მათ შორის, დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებთან მიმართებით.

2.7. ნებისმიერი სარეკლამო ინფრასტრუქტურის (ნაგებობების) და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) გაცემის/განახლების/ვადის გაგრძელების საკითხი (საჭიროების შემთხვევაში) განიხილება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, მათი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და შესაბამის დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად დაადგინონ და განსაზღვრონ გარე რეკლამის განთავსებისთვის ახალი/დამატებითი წესები, სტანდარტები და შეზღუდვები, ქალაქგეგმარებითი ხედვები და ა.შ.

- 2.7.1. იმ შემთხვევაში, თუ მცირე საშუალებებზე, არსებულ ან/და ახალ ობიექტებზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/ გამოყენების უფლება/ შეტყობინება და სხვ.) მოპოვების/განახლების/ვადის გაგრძელების პროცესში, აუქციონში გამარჯვებულ პირს მოუწევს, განახორციელოს რაიმე სახის ცვლილებები სარეკლამო ინფრასტრუქტურის სახეობების ან/და მისი განთავსების პირობებში და აღნიშნული არ გამოიწვევს ობიექტების ფართობის შემცირებას, გამარჯვებულ პირს ნებართვის გამცემის/სააგენტოს ან/და მუნიციპალიტეტის სხვა ორგანოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენის უფლება.
- 2.8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებული აუქციონით განსაზღვრულ ადგილებს წარმოადგენს ამ პირობების დანართი №1-ში და დანართი №3-ში მითითებულ ობიექტები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დადგენილების ზემოაღნიშნული მუხლი არ ვრცელდება ახალ ობიექტებსა და მცირე საშუალებებზე.
- 2.9. ლოტით გათვალისწინებული ტერიტორია არ მოიცავს მესამე პირთა (ასეთ პირად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირი) საკუთრებაში დღეს არსებულ ან/და მომავალში დარეგისტრირებულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.10. ლოტით გათვალისწინებული ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.11. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აუქციონის საგანი არ მოიცავს/გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ექსკლუზივიდან გამონაკლისს, გარდა ამ პირობებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, წარმოადგენს:
- 2.11.1. სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №01-4/221 ბრძანების საფუძველზე 2011 წლის 9 ივნისის დადებული აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება და მასზე განთავსებული ან/და განსათავსებელი ფეხით გადასასვლელი ხიდეები (ნაგებობები);

- 2.11.2. სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/43 ბრძანების საფუძველზე 2012 წლის პირველ ივნისს დადებული იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონება და მასზე განთავსებული ან/და განსათავსებელი შენობა-ნაგებობები;
- 2.11.3. სააგენტოს მიერ 2016 წლის 25 მარტს გამოცხადებული აუქციონის (ლოტი N1, აუქციონი N303) საფუძველზე, 2016 წლის 19 აპრილს დადებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება და მასზე განთავსებული ან/და განსათავსებელი საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციები (ნაგებობები);
- 2.11.4. სააგენტოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის საფუძველზე (NE-თბილისის სატრანსპორტო კომპანია-1-22953), „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ 2019 წლის 6 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება;
- 2.11.5. სააგენტოს მიერ 2020 წლის 8 მაისის ბ61.01201297 ბრძანებით გამოცხადებული აუქციონის (ლოტი N1, აუქციონი N521) საფუძველზე, 2020 წლის 18 ივნისს დადებული აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება და მასზე განთავსებული ან/და განსათავსებელი ფეხით გადასასვლელი ხიდეები (ნაგებობები);
- 2.11.6. საზოგადოებრივი/მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/სახელმწიფოს მიერ სარგებლობის ნებისმიერი ფორმით, შესაბამისი მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემული/მომავალში გადასაცემი უძრავი ქონება, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობად განსაზღვრულია შესაბამის უძრავ ქონებაზე ან/და მასზე განთავსებულ/განსათავსებელ ობიექტებზე გარე რეკლამის განთავსება.
- 2.12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა,

რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილის) ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. ამასთან, დაუშვებელია ამ პუნქტში მითითებული სარეკლამო ინფრასტრუქტურის გამოყენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და სხვა მესამე პირის მიერ მასზე უშუალოდ სარეკლამო საშუალების განთავსებიდან მოგების მიღების/კომერციული საქმიანობის წარმართვის მიზნით.

2.13. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათი თავისუფალ მდგომარეობაში შენარჩუნება და მათზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის) მიერ მიწოდებული გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/დონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით, შემდეგი პირობებით:

2.13.1. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურა განთავსოს გამარჯვებულ პირზე ნებართვის (სანებართვო მოწმობის) გაცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში.

2.13.2. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე გარე რეკლამა გაავრცელოს/განაახლოს ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის) მიერ შესაბამისი მოთხოვნისა და სარეკლამო მასალის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, გამარჯვებული პირის ხარჯებით (სარეკლამო მასალის შექმნის ხარჯები გამარჯვებულ პირს არ ეკისრება). ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ თითოეულ ობიექტზე ამ პუნქტის შესაბამისად ახალი რეკლამის (სარეკლამო ზედაპირის) განთავსების მოთხოვნა გამარჯვებულ პირს შესაძლებელია წარედგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 12-ჯერ.

2.13.3. ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, გამარჯვებულ პირს არ აქვს უფლება, ამ პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე განთავსოს სხვა

გარე რეკლამა, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის) მიერ მიწოდებული გარე რეკლამისა.

- 2.14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსებისა და მართვის დღეს არსებულისგან განსხვავებული/დამატებითი წესები და სტანდარტები. აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულ პირს მუნიციპალიტეტის მიმართ არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენის უფლება.
- 2.15. გამარჯვებული პირი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს არსებულ ობიექტებზე, ახალ ობიექტებსა და მცირე საშუალებებზე გარე რეკლამის განთავსების (გავრცელების) საფასურის ოდენობა და სხვა პირობები. ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სრულად ეკუთვნის გამარჯვებულ პირს.
- 2.16. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის გასვლიდან, ვადაზე ადრე გაუქმებიდან ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის შემთხვევებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნებართვის გამცემის/სააგენტოს მიმართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს ნებართვის ფარგლებში განთავსებული ნაგებობების (სარეკლამო ინფრასტრუქტურისა და მასზე გავრცელებული გარე რეკლამის) დემონტაჟი, კანონმდებლობით დადგენილი წესისა და მოთხოვნების შესაბამისად.
3. აუქციონში მონაწილეობის პირობები და გამარჯვებული პირის გამოვლენის წესი
- 3.1. აუქციონის საწყისი საფასური (ნებართვის გაცემის საწყისი ფასი) შეადგენს 11 078 188 (თერთმეტი მილიონ სამოცდათვრამეტიათას ასოთხმოცდახუთი) ლარს.
- 3.2. აუქციონში გამარჯვებული პირის გამოვლენის ერთადერთი კრიტერიუმია ნებართვის გაცემის ფასზე ყველაზე მაღალი შეთავაზება.
- 3.3. აუქციონში მინიმალური ბიჯი შეადგენს 553 910 (ხუთას ორმოცდაცამეტი ათას ცხრაას ათი) ლარს.

- 3.4. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირდება და აუქციონში მონაწილის სტატუსს იძენს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ აუქციონის სრული საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად გადასახდელი ბეს/სანაკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 1 107 820 (ერთი მილიონ ასშვიდი ათას რგას ოცი) ლარს.
- 3.5. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ ბე გადახდილ უნდა იქნას/საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან მის დასრულებამდე, არაუგვიანეს წინა სამუშაო დღის 18:00 საათისა. ბე გადახდილ უნდა იქნას უნადლო ანგარიშსწორების ფორმით. საბანკო გარანტია წარდგენილ უნდა იქნას წერილობით, არსებითად ამ პირობების დანართ N4-ში მოცემული ფორმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს კანცელარიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას N7. ამ პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 წუთისა, ბეს გადახდა აუქციონში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მხოლოდ ბილინგის სისტემით.
4. ოქმის გამოცემის, ხელშეკრულების დადების, აუქციონის სრული საფასურის გადახდისა და სანებართვო მოწმობის გაცემის წესი
- 4.1. აუქციონის (სააუქციონო ვაჭრობის) დასრულების შემდეგ გამოიცემა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელშიც აისახება გამარჯვებული პირის დასახელება, ლოტის დასახელება, ნებართვის მოქმედების ვადა და ნებართვის გაცემის ფასი.
- 4.2. ოქმის გამოცემიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში დაიდება ამ პირობების 1.3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ნებართვის გამცემის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, არაუმეტეს დამატებით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ხელშეკრულების გაფორმების ვადის გაგრძელება წარმოადგენს ნებართვის გამცემის უფლებამოსილებას და იგი არ არის ვალდებული, განსაზღვროს ამგვარი დამატებითი ვადა. ხელშეკრულების გაფორმების ვადის გამარჯვებული პირის მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ გააუქმოს აუქციონის შედეგები.
- 4.3. აუქციონის სრული საფასურის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის

მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუადრეს 2021 წლის 1 სექტემბრისა, გაიცემა სანებართვო მოწმობა.

4.4. აუქციონის სრული საფასური გადახდილ უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში (შემდგომში - „ძირითადი ვადა“). ძირითად ვადაში აუქციონის სრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, გამარჯვებულ პირს დამატებით განსაზღვროს გონივრული ვადა (მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა) დარღვევის გამოსასწორებლად (შემდგომში - „დამატებითი ვადა“) და დააკისროს ამ პირობების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დამატებითი ვადის განსაზღვრა წარმოადგენს ნებართვის გამცემის უფლებამოსილებას და იგი არ არის ვალდებული, განსაზღვროს ამგვარი დამატებითი ვადა. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, გამარჯვებული პირის მიერ ძირითადი ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გააუქმოს აუქციონის შედეგები და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობა

5.1. გამარჯვებული პირის მიერ ძირითად ვადაში აუქციონის სრული საფასურის სრულად გადაუხდელობისას, ნებართვის გამცემის მიერ დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ძირითადი ვადის დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აუქციონის სრული საფასური და პირგასამტეხლო სრულად გადახდილ უნდა იქნას ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში.

5.2. წინამდებარე პირობების 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ახალი ობიექტის განთავსების საფასურის ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის/პირობების დარღვევის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

5.3. წინამდებარე პირობების 2.13 ან/და 2.16 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების/პირობების დარღვევის შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება თითოეულ დარღვევაზე

100 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცემაზე დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

- 5.4. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს ან/და მისი მიზეზით არ დაიდება ხელშეკრულება ამ პირობების 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ან/და ამავე პუნქტის შესაბამისად ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გააუქმოს აუქციონის შედეგები. ასეთ შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
- 5.5. გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის სრული საფასურის ძირითად ვადაში ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, პირგასამტეხლოს დამატებით ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ გააუქმოს აუქციონის შედეგები და შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
- 5.6. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებზე დამატებით, გამარჯვებულ პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულების შესაბამისად.

დანართები:

1. დანართი N1 - არსებული ობიექტები;
2. დანართი N2 - არსებული ობიექტისა და დანართი N3-ით გათვალისწინებული ობიექტების ელექტრონული რუკა (ზმული);
3. დანართი N3 - მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილი გარე რეკლამის ობიექტები;
4. დანართი N4 - საბანკო გარანტიის ფორმა.

დანართი N1

N	მასა მართი	რამენი	ბანა	კვერდ გზი	მარცხ გზი	მარცხ გზი
1	ავლაძის ქ. (ელავის ბაზრის ზედა მხარე) #2	ქუჩა	ბილირი 3X6	2	3X6	36
2	ავლაძის ქ. დასაწყისი (ვახუშტის ხიდთან)	დიდუბე	ბილირი 4X8	1	4X8	32
3	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	სამგობი	ბილირი 3X18.2	2	3X18.2	109.2
4	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	სამგობი	ბილირი 3X10.6	2	3X10.6	80.56
5	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	სამგობი	ბილირი 3X6	1	3X6	18
6	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ლავილი	2	1.6X1.1	3.52
7	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ბილირი 3X9	1	3X9	27
8	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ბილირი 3X9	1	3X9	27
9	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ბილირი 3X9	1	3X9	27
10	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ბილირი 3X9	1	3X9	27
11	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 5X28	1	5X28	140
12	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 4X8	1	4X8	32
13	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 3X9	1	3X9	27
14	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 3X18	1	3X18	54
15	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 2.8X8.8	1	2.8X8.8	24.64
16	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 6X18.5	1	6X18.5	111
17	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 2.8X8.8	1	2.8X8.8	24.64
18	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 3X6	1	3X6	36
19	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 2.8X8.8	1	2.8X8.8	24.64
20	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 3X6	2	3X6	72
21	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	დიდუბე	ბილირი 4X8	2	4X8	64
22	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ბილირი 3X6	1	3X6	18
23	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ლავილი	2	1.6X1.1	3.52
24	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ლავილი	2	1.6X1.1	3.52
25	ავლაძის ქ. დასაწყისი (ავლაძის ქუჩის დასაწყისი)	ქაი	ლავილი	2	1.6X1.1	3.52

26	ზარათაშვილის ქუჩის აღმართზე #5	ძანი	ლათბიჭი	2	1,6X1,1	3,52	მარცხენა
27	ბელაშვილის ქ. N40	დაღებუ	ბილიორი 2,8X11,80	2	2,8X11,80	66,08	მარცხენა
28	ბელაშვილის ქ. თაღლაშას მამ მარე	დაღებუ	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
29	ბუჩის ქ. ხიდი, პლატფორმა 250მ ² კოთან	ძანი	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
30	ბუჩის ქ. ხიდი, პლატფორმა 250მ ² კოთან	ძანი	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
31	ბუჩის ქ. ხიდი, პლატფორმა 250მ ² კოთან	ძანი	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
32	ბუჩის ქ. ხიდი, პლატფორმა 250მ ² კოთან	ძანი	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
33	გლდანის (მეტრო ახტეკლითან)	გლდანის	ბილიორი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
34	გლდანის (მუხანის გადასასვლელთან)	გლდანის	ბილიორი 4X8	2	4X8	64	მარცხენა
35	გლდანის მუხანის გადასასვლელთან	გლდანის	ბილიორი 3X6	1	3X6	36	მარცხენა
36	გლდანის-გაბის გადასასვლელზე მეტრო სარაჯიშვილის	გლდანის	ბილიორი 2,8X5,8	1	2,8X5,8	16,24	მარცხენა
37	გლდანის მე-მრ. ავეჯის სახლის მიღ	გლდანის	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
38	გლდანის ხიდთან დილით-გლდანის მაგისტრალი გლდანისკენ	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	1	3X6	36	მარცხენა
39	გურამბეგოვის გამზ. დილით-გლდანის	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
40	გურამბეგოვის გამზ. დილით-გლდანის	ნაძალადევი	ბილიორი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
41	დავითის ქ. გადასასვლელ ხიდზე, რესტორანი ნაძალადევის სახლის მუხანის	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
42	დავითის ქ. თიბისი ბაგთან	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
43	დავითის დილით-გლდანის გადასასვლელთან	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
44	დავითის ხიდი მარჯვენა ნაწილი (დიღუბე)	დაღებუ	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
45	დავითის-გლდანის მუხანის გადასასვლელზე გზ. მ/კ-ს რიგითი-გლდანის მიმდებარედ	გლდანის	ბილიორი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
46	დავითის-საბურთალოს გზ. (დიღუბე-დავითის ხიდთან)	ნაძალადევი	ბილიორი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
47	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X9	1	3X9	27	მარცხენა
48	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X9	1	3X9	27	მარცხენა
49	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X6	1	3X6	27	მარცხენა
50	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X6	1	3X6	27	მარცხენა
51	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X9	1	3X9	27	მარცხენა
52	ელისაშვილის გამზ. პეტრეს მიმდებარედ	დაღებუ	ბილიორი 3X9	1	3X9	27	მარცხენა
53	ერისთავის ქ. 2 ხიდთან (დიღუბის მეტროს უკან ამაღლ.)	დაღებუ	ბილიორი 2,8X5,8	1	2,8X5,8	16,24	მარცხენა
54	ერისთავის ქ. დიღუბის მეტროს უკან ამაღლ.	ნაძალადევი	ბილიორი 2,8X5,8	1	2,8X5,8	16,24	მარცხენა

55	ერძიანების ქ. კიკვიძის ბაღთან	ნარსლაძე	ბილბორდი 3X6	1	3X6	36	მარცხენა
56	ვახუშტაძე, ლუილის მიმდებარედ	იასი	ბილბორდი 2.8X3.8	2	2.8X3.8	32.48	მარცხენა
57	ვარკეთილი (აეროპორტის ხიდის ქვეშ, პეპსიკოს ქ. #1)	სამგური	ბილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
58	ვარკეთილი ჯვარბუთის ქუჩა, მეტროს მხარეს, საქართველოს ბანკის ფილიალთან	სამგური	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
59	ვახუშტი პავლეძლის ქ. წერეთლის მეტროს მიმდ.	დიდუბე	ბილბორდი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
60	ვასილკის ხიდიდან დიდუბის მხარეს ავლაძის ქ-სთან (კლიფის ბაზრ.)	დიდუბე	ბილბორდი 2.75X3.75	2	2.75X3.75	48.125	მარცხენა
61	თ. მღვდლის ქ. ბავშვთა სამეფოს მიმდ.	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
62	თამარ მეფის გამზ. #2-ის წინ	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
63	თამარ მეფის გამზ. (წინამძღვრბულის ქ. გადაკვეთა)	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
64	თამარ მეფის გამზ. (ხედიდან) #1 BL	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
65	თამარ მეფის გამზ. (ხედიდან) #2 BL	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
66	თამარ მეფის გამზ. დანიური სახლის პირედ, ქუჩის მეორე მხარეს, გაჩერების ნიშნად	ჩუღურეთი	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
67	თამარ მეფის გაშვარი, ზემოლის ქუჩის ჩასახვევი	დიდუბე	ბილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
68	კახეთის გზატკეცილზე მე-3 მასივის მე-10 კვარტლის ა კორპუსის წინ	სამგური	ბილბორდი 3X30	1	3X30	90	მარცხენა
69	კახეთის გზატკეცილზე 85-ე სვეტი	სამგური	ბილბორდი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
70	კახეთის გზატკეცილზე: თბილისისკენ ვარკეთილის ჩასახვევთან	სამგური	ბილბორდი 4X8	2	4X8	64	მარცხენა
71	კახეთის გზატკეცილზე: ნავთობის მიმდ	სამგური	ბილბორდი 4X16	1	4X16	64	მარცხენა
72	კახეთის გზატკეცილზე: ორბეჯის ხიდი	სამგური	ბილბორდი 3X25	2	3X25	150	მარცხენა
73	კახეთის გზატკეცილი: თბილისისკენ ქუჩის პასახვევამდე	სამგური	ხიდი	2	3X30	180	მარცხენა
74	კახეთის გზატკეცილი	სამგური	ბილბორდი 3X8	2	3X8	54	მარცხენა
75	კახეთის გზატკეცილი - ბიძი #54 - #55 ხიდი	სამგური	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
76	კახეთის გზატკეცილი - ბიძი #54 - #55 ხიდი	სამგური	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
77	კახეთის გზატკეცილი - ბიძი #54 - #55 ხიდი	სამგური	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
78	კახეთის გზატკეცილი - ბიძი #54 - #55 ხიდი	სამგური	ხიდი	1	4X8	32	მარცხენა
79	კახეთის გზატკეცილი: აეროპორტის გადასახვევი, ნეოგაზის შესართავი	სამგური	ბილბორდი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
80	კახეთის გზატკეცილი: აეროპორტის გადასახვევი, ნეოგაზის შესართავი	სამგური	ბილბორდი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
81	კახეთის გზატკეცილი: ორბეჯის საავტ. ხიდიდან (თბილისისკენ მიმართულა)	სამგური	ბილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
82	კახეთის გზატკეცილი: ორბეჯის საავტ. ხიდიდან (თბილისისკენ მიმართულა)	სამგური	ბილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
83	კახეთის გზატკეცილი: ორბეჯის ხიდიდან, მ. გრიგორაშვილის ქუჩის გადასახვევამდე	სამგური	ბილბორდი 2.8X17.8	2	2.8X17.8	99.68	მარცხენა

[illegible]

113	მარცხ. სანაპირო ელივას ბაზონისთან, არსებული პეტელახთან, წრულთან	დიდუბე	ბილიბირი 3X6	1	3X6	36	მარცხენა
114	მარცხენა სანაპირო	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
115	მარცხენა სანაპირო დეგუბის ქუჩაში ტრანსფორმაცია	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
116	მარცხენა სანაპირო თავადეცის საზღვრის ასახვევთან	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
117	მარცხენა სანაპირო 16 სათრულანგთან ცაბაძის ქ. ასახვევი	დიდუბე	ბილიბირი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
118	მარცხენა სანაპირო პარათაშვილის ხიდამდე ზღ. სადგურ კანარეთთან	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
119	მარცხენა სანაპირო პარათაშვილის ხიდის ასახვევზე იმანი (მარცხენა)	იმანი	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
120	მარცხენა სანაპირო პარათაშვილის ხიდის ასახვევზე იმანი (მარცხენა)	იმანი	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
121	მარცხენა სანაპირო პარათაშვილის ხიდის ასახვევზე ჩუღურეთი მარცხენა	ჩუღურეთი	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
122	მარცხენა სანაპირო პარათაშვილის ხიდის ასახვევზე ჩუღურეთი მარცხენა	ჩუღურეთი	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
123	მარცხენა სანაპირო ელივას ბაზონის მიმდებარედ, ნეკილას ბარათაშვილის ქუჩის	დიდუბე	ბილიბირი 2,75X8,75	2	2,75X8,75	48,125	მარცხენა
124	მარცხენა სანაპირო ელივას ბაზონის მიმდებარედ, ნეკილას ბარათაშვილის ქუჩის	დიდუბე	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
125	მარცხენა სანაპირო ელივას ბაზონის მიმდებარედ, ნეკილას ბარათაშვილის ქუჩის	დიდუბე	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
126	მარცხენა სანაპირო ელივას ბაზონის მიმდებარედ, ნეკილას ბარათაშვილის ქუჩის	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
127	მარცხენა სანაპირო მარცხენა ხიდის ასახვევში	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	1	2,8X5,8	16,24	მარცხენა
128	მარცხენა სანაპირო საარბრეკის მოედნის ასახვევში	დიდუბე	ბილიბირი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
129	მარცხენა სანაპირო სასტუმროს ქ. (სასტუმროს ქუჩის ასახვევზე, წინ)	დიდუბე	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
130	მარცხენა სანაპირო ქუჩის ქ. (გამყოფი ზოლი)	ნაძალადევი	ბილიბირი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
131	მარცხენა სანაპირო ელივას ბაზონის მიმდ., აგლაძის N5 ქუჩის პარალელურად	დიდუბე	ბილიბირი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
132	მარცხენა სანაპირო (ვახუშტის ხიდი, დიდუბის მხარე) #1 BL	დიდუბე	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
133	მარცხენა სანაპირო (ვახუშტის ხიდი, დიდუბის მხარე) #2 BL	დიდუბე	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
134	მარცხენა სანაპირო (ვახუშტის ხიდი, დიდუბის მხარე) #3 BL	დიდუბე	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
135	მარცხენა სანაპირო (ვახუშტის ხიდამდე)	დიდუბე	ბილიბირი 4X8	2	4X8	64	მარცხენა
136	მარცხენა სანაპირო (ვახუშტის ხიდის შემდეგ, ელივას ბაზონისთან)	დიდუბე	ბილიბირი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
137	მარცხენა სანაპირო (თამარ მეფის ხიდთან)	დიდუბე	ბილიბირი 4X10	2	4X10	80	მარცხენა
138	მარცხენა სანაპირო (ნაკადულთან)	ჩუღურეთი	ბილიბირი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
139	მარცხენა სანაპირო გუდაულის ქუჩის მიმდ.	დიდუბე	ბილიბირი 4X16	2	4X16	128	მარცხენა
140	მარცხენა სანაპირო დ. აბაშიძის ქ-ის ასახვევთან	ჩუღურეთი	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
141	მარცხენა სანაპირო დინამიკი არევის ასახვევში (სტადიონის ასახვევთან)	დიდუბე	ბილიბირი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა

142	მარცხენა სანაპირო ელივას მახლობლად კანარეხთან	დიდუბე	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
143	მარცხენა სანაპირო კახიში მაქორუხთან	დიდუბე	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
144	მარცხენა სანაპირო ირთაჭალქსთან სოკარის ოფებითან მარცხენა	იხანი	ზილბორდი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
145	მარცხენა სანაპირო ირთაჭალქსთან, სოკარის ოფებითან მარცხენა	იხანი	ზილბორდი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
146	მარცხენა სანაპირო სტუმის მონდუბარედ	დიდუბე	ზილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
147	მარცხენა სანაპირო სტუმის მონდუბარედ	დიდუბე	ზილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
148	მარცხენა სანაპირო სტუმის მონდუბარედ	დიდუბე	ზილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
149	მარცხენა სანაპირო სტუმის მონდუბარედ	დიდუბე	ზილბორდი 4X8	1	4X8	32	მარცხენა
150	მარცხენა სანაპირო კორჩენების სახლიან	ჩუღურეთი	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
151	მარცხენა სანაპირო კორჩენების სახლის შემდეგ	დიდუბე	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
152	მარცხენა სანაპირო წმინდა წიკლითხის ეკლესიასთან	ჩუღურეთი	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
153	მარცხენა სანაპირო, ლუდის ბარ მატულიან	დიდუბე	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
154	მარცხენა სანაპირო, ვუდლითის ქუჩის ასახვევითან	დიდუბე	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
155	მარცხენა სანაპირო ქ. 8 თეატრის მხარეს	ჩუღურეთი	ლაიბიკი	2	1,25X1,65	4,625	მარცხენა
156	მარცხენა სანაპირო ქ. ვალაქტოზის ხიდის მონდუბარედ გამკოფ ზოლში	ჩუღურეთი	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
157	მარცხენა სანაპიროს ხიდის მიმდ. ჯვარბზე	ჩუღურეთი	ზილბორდი 9,8X2,2	1	9,8X2,2	21,56	მარცხენა
158	სან რესტ. თავადურის მიმდ	დიდუბე	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
159	მელაანის ქ. #18-ის მიმდ	იხანი	ზილბორდი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
160	მეტრი ვარკეთილი	სამგორი	ზილბორდი 3X6	1	3X6	18	მარცხენა
161	მეტრი სამგორი (ნავთლუბის მახლობლად)	სამგორი	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
162	მეტრი ღრმადელის მონდუბარედ	ნაძალადევი	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
163	მეტრი წერეთელთან	დიდუბე	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
164	მთკოფის გზ. დასაწყისი უცხოეთის ქ-ის ნიშნდუბარედ	სამგორი	ზილბორდი 4X10	1	4X10	40	მარცხენა
165	მთკოფისთან	დიდუბე	ზილბორდი 3X4	2	3X4	24	მარცხენა
166	ნავთლუბის მართი, ქვივან დედოფლის გზის, მდედუბეს ქუჩის შეახვევითან	იხანი	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
167	ნავთლუბის მართი, მთკოფის გზის, მთკოფის გზის, მთკოფის გზის, მთკოფის გზის	იხანი	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
168	ორთაჭალ. ფინანსთა სამინისტროს მინერალბარედ	იხანი	ლაიბიკი	1	2,2X1,2	2,64	მარცხენა
169	რამაკისის გზის, სოფთა სახლიან, კორპუსი 2ა	დიდუბე	ზილბორდი 2,8X5,8	2	2,8X5,8	32,48	მარცხენა
170	რამაკისის გზ. (სამხრეთის მახლობლად)	დიდუბე	ზილბორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა

171	რობაქიძის გარე. TBC ბანკის განყოფილება, კორპუსი 7ა	დიდებუ	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
172	რობაქიძის გარე. "დიდუბის ხიდის" მძიმე. A ა. გ. ს. -ის მხარეს	დიდებუ	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
173	რობაქიძის გარე. "დიდუბის ხიდის" მძიმე. ბელიაშვილის მხრიდან	დიდებუ	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
174	საარბრეუენის მოედანი, ხიდის თავი	ჩუღურეთი	ღიათბაქი	2	1.5X1.1	3.52	მარცხენა
175	სადღურის მოედანი (სადღურადან ჩაბასხევში)	დიდებუ	ბაღობორდი 4X8	2	4X8	64	მარცხენა
176	სადღურის მოედანი 16, ბაგუთა სამკარასა და მოედანს შორის	ჩუღურეთი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
177	ქეთევან დედოფლის გარე. 53-ის მძიმე	იხანი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
178	ქეთევან წამებულის გარე. #42-ის მძიმე	იხანი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
179	ქეთევან წამებულის გარე. და შავი ზღვის ქ-ის კვეთა (შავი ზღვის ქ-ის ბოლოში)	იხანი	ბაღობორდი 2.8X5.8	2	2.8X5.8	32.48	მარცხენა
180	ქეთევან წამებულის გარე. მს. იხანს პარკიდან	იხანი	ბაღობორდი 2.8X5.8	2	2.8X5.8	32.48	მარცხენა
181	ქეთევან წამებულის გარე. (370 არაგველუბის შეტრიახთან)	იხანი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
182	ქეთევან წამებულის გარე. (შეუბნის ჩრდილოდან)	იხანი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
183	ქორწინების სახლიდან, ბარათაშვილი, მარცხენა სანაპირო, მადონა ქაბას ნიშ. მხარეს	ჩუღურეთი	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
184	შავი ზღვის ქ. ბოლოში (დოქის კვეთისთან)	იხანი	ბაღობორდი 2.8X5.8	2	2.8X5.8	32.48	მარცხენა
185	შავი ზღვის ქ. და დოქის ქ. კვეთის მძიმე	იხანი	ბაღობორდი 3X9	2	3X9	54	მარცხენა
186	შავი ზღვის ქ. #1	იხანი	ღიათბაქი	2	1.5X1.1	3.52	მარცხენა
187	შებულობის ქ. (გლდანის შესასვლელი კუჩხულზე)	გლდანის	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
188	შებულობის ქ. სასტ. პრისონი	გლდანის	ბაღობორდი 3X6	2	3X6	36	მარცხენა
